



50 105

.6606669, 0360606060—0360606060

# ԱՎԵԱԼԻՇ ՃԱՑՈՂՈ

Ն Ե Հ Ա Տ Ե Զ Ո Յ Ե Ը Զ Ա Գ Ա Ժ Ո Ւ Յ Ե

ՑԱՑԵՑՈՒՆ № 598

ՊԱՅԱՖԱՑՈՒՆ № 105

ՀՅՈՒՆ, 13 ՄԵԽԵ 1912 թ.




ԿՐՈՎԼԱՋ ՏԱՑԼՈՋԵԼՈ ԵՑՆԵԿՈՒՆԵ ՀԱՅՈՒ

ՑՈԱՐՈՂՈՐԾԿՅ ՑԱԴԱԿԱՆՈ ՑԱՅՈՒ


Ա Տ Ե Զ Ո Յ Ե Ը Զ Ա Գ Ա Ժ Ո Ւ Յ Ե

Հ Ա Տ Ե Զ Ո Յ Ե Ը Զ Ա Գ Ա Ժ Ո Ւ Յ Ե

## საგიმნასტო დილა კართულ გიმნასიაში 8 მაის 1912 წ.



თავისუფალი მოძრაობანი უფრას კლასების მოწაფეთა.




— ჯოხებით გარჯიშობა გიმნაზიის დაბალქლასის მოწაფეთა.

### ქ რ ნ ი პ ა ს.

(იაკობ გოგეგაშვილს).

არ შეგვიშინდე, არწივო,  
რა დროს სიკვიდოლის ჯერია!..  
შავს ყორანს ჩახლეჩილის ხმით  
რამდენჯერ დაუმდერია,  
მაგრამ შენს დიად გულს და თვალს  
მკაცრად რომ შეუბლვერია,  
გაბრუნებულა, წასულა,  
როგორც მაცდური ფერია.  
  
ჯერ ჩინგურს სიმი მთელი აქ, ს  
ისევ ხმა-ტკბილად წკრიალებს;  
სიკოცხლე სასიქაღულო  
შენს სადლეგრელოდ ტრიალებს,  
მუხა ქვეშ ბურჯაო გიდგია,  
ზედ შენი დროშა ფრიალებს  
წყარო იძახის „მრავალუს“  
და კვლავ მძლავრადა ჩქრიალებს...  
  
აბა გაჭედე შენს შვილებს  
შენგან დაზრდილებს გულითა,  
ზეიადებს, ამაყ ვაჟკაცებს  
საესეთ სიკოცხლით სრულითა.  
სახამდის შემოგცერიან  
ნატვრით და სიყვარულითა,  
ვინ რას დაგაკლებს, ფრთა ლალო,  
გინდაც წამხდარი სულითა...  
  
შეილის-შეილონ ნუგეშიცა ხარ  
მათიცა გმართებს ვალები:  
სანამ არ გაუმაგრდებათ  
გული, მკერდი და ბრტყალები,  
უნდა იცოცხლო, იცოცხლო,  
შემოიკრიბო ძალები  
დასძლით დაუძლეველი,  
სიკვდილს დაუდგეს თვალები!..

შ. მლოცველი.



### ვ ი რ ა მ ი დ ა.

ზოგიერთ მეზობლის აზრით, პეპე მეურმე ყოველ დღე  
ლირსი იყო, ენა მოექრათ ან სანტ-ოფიციოს \*) დროისებუ-  
რად გამდნარი ტყვია ჩესხთა ხანაში: არაფერს არ ერიდებო-  
და, არც ადამიანურს, არც ლვთაებრივს. ეამნის ყველა უპა-  
ტიოსნები სახელი დაზეპირებული ჰქონდა მხოლოდ იმის-  
თვის, რომ ელანძლნა და ეთრია; დიდ სიამოვნებასა გრძნობ-  
და. მოუვიდოდა გული თავის პირუტყვებზე, აიღებდა სახრეს  
და ერთ წმიდანს არ გამოსტოვებდა, მოსდგებოდა და უშვე-  
რის სიტყვებით ლანძლავდა. ერთის სიტყვით, საშინელება რა-  
ღაც იყო! მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ, გამოჩენილ-  
ბოდა თუ არა თავისის დიდ-თავა პირუტყვებით, რომელთაც  
უფრო გინებით მიერკებოდა ვიდრე სახრით, შეგროვებო-  
დნენ მთელის უბნის ზავშვები და უგარეულებელს ყურადღე-  
ბით უსმენდნენ და ერთობოდნენ თავის მასწავლებლის უშვე-  
რობის დაუშრეტელობით.

მეზობლები, რომელთაც მოსწყონდათ ყოველ წამს ლან-  
ძლვა-გინების გაგონება, არ იცოდნენ, როგორ მოუშორები-  
ნათ.

მიჰმართეს ბელ-ეტაჟში მცხოვრებ ბებერ ღუნწს, რომე-  
ლიც აქირავებდა პეპეზე ურემს, რადგან უკეთესი მოიჯარადრე  
ვერ ეპონა.

— ყურადღებას ნუ აქცევთ, — უპასუხა მან, — ნუ დაივი-  
წყებთ, რომ მეურმეა, — მაგ ხელობისათვის სრულებით არ  
არის საჭირო ზრდილობის მეცნიერება. მყრალი ენა აქვს, მა-  
რთალია, მაგრამ საქმის კაცია და იჯარის გადახდა ერთ დღეს  
არ დააგვიანდება. ცოტაოდენი ლმობიერება იქნიეთ, ბატო-  
ნებო.

ამ საშინელ კაცის ცოლი ებრალებოდა მთელ უბანს.

— არ გეგონოთ, შემცდარი ბძანდებით, — სიკილით ამბო-  
ბლა საწყალი ქალი. — სრულებითაც არ მტანჯავს. უკეთ-  
ილები არსება! ხასიათი აქვს მხოლოდ ეგეთი, — რა ვქ-  
ნათ, ლმერთმა არ დაგვაჯილდოვა მორჩილებით. მაგრამ  
ადამიანი კი არა ოქროა! ხანდახან ერთ ჭიქას თუ გადაჲრავს  
მოსალონიერებლად, თორემ სხვები რომ სჩადიან, მთელ დღეო-

\*) სანტ-ოფიციოს წმიდა დაწესებულება — ინკვისიცია.

## ვიზენზე გლასკო იგანიერის ნოველები ჯოგორეთის მაჟალა

მთელ უბან პასიფიკუში იყო ცნობილი ეს აბეზარი მეურ-  
მე; ყველა ქუჩებში ისმოდა მისი ყვირილი და მისი სახრის  
საშინელი ტყლაშუნი.

იმ დიდ სახლის მცხოვრებნი, რომლის სარდაფშიაც ის  
იდგა, მეტად ცუდის აზრისანი იყვნენ მის შესახებ: მეტად  
უწყალო და ენა მყრალი ადამიანია!.. იტყვიან კიდე, ვითომც  
პოლიცია იპყრობდეს იმათ, ვინც ქუჩაში ილანძლება!..

წ 3 6 0 ლ პ რ ე დ ი ტ ი ს ა მ ხ ა ნ ა ზ თ ა კ ა ხ ე თ უ 0.



**გურჯაანის** წვრილ კრედიტის ან. ნ. გობის წევრი და დამსწრე გლეხგა-  
ცობა, გამგეობის შენობის კურთხევის დღეს. (იხილეთ დღევანდელი გაზეთი).

ბით რომ დუქანში დახლის წინ დგანან, არაფერს ამის მსგავს  
არასოდეს არ იყადრებს. რასაც შოტლობს შინ მოაქვს, თავი-  
სთვის ერთ გროშაც არ იტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ  
შვილები არ გვყავს, თუმცა ძლიერ კი უნდა.

მაგრამ საწყალ ქალს ვერავინ ვერ დაერწმუნებინა, რომ  
მისი ვეკე კეთილი ადამიანი იყო. მისი დანახვაც საქართვის იყო:  
რა სახე ჰქონდა! სატუსალოშიაც ვერ ნახავდით ისეთს! ღონი-  
ერი, ტანაც თოხუთხი, ტყის მხეცივით ბანჯგვლიანი, სპი-  
ლენძის-ფერ ოღრო-ჩოლრო სახისა, ჩასისხლიანებულის თვა-  
ლებით და გაკულეტილის და დაკვენკილის ცხვირით—საშინე-  
ლება რამ იყო. ცხვირიდან და უურებადან კონა-კონა იყურე-  
ბოდა ბალანი, თითქო ტვინის მაგიერ ზღარბი ედო თავში და  
მას გამოეყო ბურძგები.

პატივსაც რომ არავის სცემდა! „პატივცემულებო“, — ამ  
სიტყვით თავის ჯორებს თუ მიჰეართავდა, რომელიც საზრდოს  
შოენაში ჰქონდებოდა. თავისუფალ ღრის კი ჩამოჯდებოდა  
ერდოზე დიდის გაჭირვებით, მარცვალ-მარცვალ, კითხულო-  
ბდა მალალის ხმით, რომელიც უანასკნელ სართულშიაც კი  
ისმოდა, საყვარელ კაზეთებს, ამ უსაძაგლეს ფურცლებს, რო-  
მელთაც ზოგიერთი სენიორი ისეთის შიშით გადმოჰყურებდა,  
თითქო ასაფერებელი რამ ყოფილიყოს.

ეს ადამიანი, რომელსაც ისე სწყუროდა ცვლილება, რო-  
მელიც ოცნებობდა შურის ძებას, დიდს შურისძებას, თი-  
თონ,—აბა, დახეთ ბერის აზირებულ დაცინვას,—სცხოვრობდა  
პასიფიკოს\*) უბანში.

სულ ცოტა რამეზე რომ წალაპარაკებოდა მისი ცოლი  
რომელსამე მდგმურის შოსამსახურეს, გაბრაზდებოდა, მოხს-



**ავგუსტ სტრინდბერგი,**

შვეციელი მწერალი, რომელიც გარდაიცვალა 2 მაისს. აქ დახატულია მი-  
სი ქანდაკება ერტელის მიერ გამოკვეთილი.



**გურჯაანის** წვრილ კრედიტის ამხანაგობის გამგეობა და შემმოწმებელი  
საბჭო. (იხილეთ დღევანდელი გაზეთი).

ნიდა მუქარათა გუდას და ჰეკიროზა: ამოვალ ზემოდ, კისერს  
მოგიგრებთ ყველას და სახლს ცეცხლს წავუკიდებო; საქართვის  
იყო, ზემო აინიდან ოთხი წვეთი დაცუმულიყო ეზოს იმ ნაწილ-  
ში, რომელიც მას ეკუთვნიდა, უშვერი პირი იმ წამსვე წამოის-  
ვროდა საბრალო, გათახსირებულ წმიდანების მთელ გროვას  
და თან მოაყოლებდა საშინელ წინასწარმეტყველებას, რომ  
ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი რიგზე დადგება და საწყალი  
ხალხი ზემოდ ავა და თავის შესაფერ ადგილს დაიკრის.

მაგრამ მისი სიძულვილი ვრცელდებოდა მხოლოდ დიდე-  
ბზე, იმათხე, ვისაც მასი ეშინოდა, თორემ მეზობლის ვინმე  
პატარა ბავშვს რომ გაევლო მას ახლო, კაცი ჭამისა მთქნა-  
რების მსგავსის ლიმილით დაუხვდებოდა და სცდილობდა თა-  
ვისის კორძიან ხელით მიეალერსნა.


მისის ცხოვრების საგანი თითქოს ის იყო, რომ მოსვენე-  
ბა არავისოცვის მიეცა: შეუკუთხებლა არ გაატარებდა ირც  
საწყალ ლოკას\*), მატანტალა კატას, რომელიც საქურდლად  
ყველა უბანში დაძვრებოდა, მაგრამ ყველა უთმენდა, რადგან  
მისის წყალობით თაგვის სინილა გაწყვეტილიყო.

ამ უსახლკაროთა თეთრ ბეწვა წარმომადგენელმა კნუ-  
ტები დაჰყარა ჯოჯოხეთის მაშალას ეზოში.

ყური უნდა გეგდოთ მეურმისათვის:  
— ბოსელია განა ჩემი ეზო, რომ გარშემო მხეცობა მო-  
დის და თავისის წირბლანის შვილებით პალწავს?  
— და თუ გაჯავრდა, ტლაშ! ჰკრავს ფეხს და ლოკას კნუ-  
ტებინად კედელს მიახლის.

მაგრამ ჯოჯოხეთის მაშალა მხოლოდ დემზადება ასე სა-  
შინლად ფეხის კვრას და დღეში ათასჯერ იმეორებს ამ მუქა-


### ლენის ამგების გამო.



**სახელმწიფო** საბჭოს წევრი სენატორი **ს. ს. მანუხინი**, რომელიც ლენში  
მომხდარ ამბების გამოსაძებლად დანიშნა.

\* ) ლოკა — გვერდი.

ოსმალეთ - ითალია თბი.



იტალიელთა მიერ დაპყრობილი კუნძული როდოსი.

რას, კატის ოჯახი კი მშვენიერად სცხოვრობდა თავის კუთხეში და პატარა შავ და ოქროს ბეჭვიანი ცისფერ, ცეცხლსავით ბრწყინვალე თვალებიანი მუქარაზე უბასუხებდნენ მხოლოდ „მიაუ, მიაუს“, თითქო დასცინოდნენ.

მშვენიერი ზაფხულია. სამუშაო თითქმის არავითარი. ჯოჯოხეთური სიცხეა.

ჰერც ცუდ გუნებაზე იყო. გულში სიბრაზის ქვაბი უდუღდა და მისი ოშეივარი—წყელვა-კრულვა—პირიდან არა სცდილდებოდა.

შეძლებული ხალხი შორს იყო, იქ, თავის ბიარიცებში და სანსებასტიანებში \*), სადაც ტანს იგრილებენ ზღვის წყალში, მაშინ როდესაც ის აქ თავისსავე წვენში იხარშება. ხალხი წავიდა მალრიციდან და სამუშაო თითქმის არ მოიპოვება. ორი დღე ურემ არ შეუბამს, საქმე თუ ასე წავიდა, თვი-კუდიანად შესჭამს თავის „პატივცემულებს, ანა და თავლის ჩიტებს, როგორც ეძახოდა ლოკას და მის ოჯახობას.

აგვისტო იყო. ერთხელ დილის თერთმეტ საათზე სადგურზე უნდა წასულიყო ავეჯის წამოსალებად.

დარი იდგა, მაგრამ რა დარი! ცაზე ღრუბლის ნასახიც არა სჩანდა, მზის სხივები ცეცხლს ისრეგბავით ესობოდა ყველაფერს გარშემო და ლამის ქუჩის ქვაფენილი გაედნო.

— აბა, აბა, თქვენი ჭირიძე!.. შენ რა გინდა, ლოკა?

გარეკა ჯორები და მიუახლოვდა თეთრ კატას, რომელიც საცოდავად კინალამ ეტლს უვარდებოდა ქვეშ.

— რა გინდა, წყეულო? გასწი, თორემ გაგქულებს.

და განსაცდელში ჩავარდნილის გადასარჩენად და კეთილ საქმის ჩასადენად ისეთი გადიუქილა კატას სახო, რომ საბრალო განზე გადახტა, მიიკუნჭა. კუთხეში და ტკივილისაგან აკნაცლდა.

სწორედ რომ კარგი სამუშაო დროა! ყველაფერი, რაც კი მოხვდებოდა თვალში, აბრაზებდა; მიწას ალმული ასდიოდა, ჰაერი გახურებული იყო, თითქო მოელ მაღრიდს ცეცხლი მოჰკიდებოდა, მტვერი ცეცხლსავით ცხელი იყო. ენა და ყელი სრულებით გაუშრა; სიცხისაგან გაგიუბეული ბუზები გარშემო ეხვევოდნენ, ცხვირში უძვრებოდნენ საბრალო ჯორებს, რომელიც ძლივს ითქამდნენ სულ.

ჯოჯოხეთის მაშალა უფრო და უფრო ბრაზდებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდა სადგურს, განუწყვეტლივ ბუტბუტები უსაშინელეს სიტყვებს და თანაც მიერეკებოდა ჯორებს, რომელიც ძლივს-ძლივს მიღოლავდნენ თავჩატილულები.

დაწყევლილი მზე! უდიდესი სისულელეა ამის გაჩენა. სწორედ ლირსია, რომ განკითხვის დღეს წესი აუგონ, ვითარცა დარიბთა მტერს: ზამთარში დიდებით იმალება, რომ მუშა კაცს ხელები დაუდუნდეს, რომ შენობიდან გადმოვარდეს, ან ეტლს ქვეშ მოჰკიდეს; ეხლა, ზაფხულში, კი არა გნებავთ! ალია, ალზე უარესი, რომ მაღრიდში დარჩენილი დარიბი ხალხი იწვებოდეს, როგორც წიწილა შამფურზე. ფარისეველი! იმათ კი არ აწესებს, ვინც აგარაკებში ბძანდებიან...

გაახსნდა ის სამი ანდალუზელი გლეხი, მინდორში რომ წვეთი დაეცათ. — ეს ამბავი ერთ-ერთ გაზეთში წაიკითხა, — სინჯა მზისათვის თვალი გაესწორებინა და მუშტით დაემუქრა. მკვლელი!.. ჩამორჩენილი!.. ვაი რომ განკითხვის დღეს ცოტა უფრო ქვეით არ იქნები.

\*! ბიარიცა სანსებასტიანი ზღვის პირად მდებარე სააგარაკო მდებარე ხავარეკი; პირელი — საფრანგეთისა, მეორე — ისპანიის. შეტად ძვირი — საცხოვრებლად.

ბარგის საწყობთან რომ მივიდა, შეჩერდა, მოინადა ქული, შეიშრო სახეზე ოფლი, მიღვა ჩრდილში და გახდა გზას, რომელიც ელასან გამოიარა. გახურებულ საკირეს გვანდა სწორედ. შეიშით ჰერქობდა, რომ ამავე გზით უნდა დაბრუნებულიყო, მზის გახურებულ სხივებ ქვეშ, რომელიც გამდნარ ტყისა ბაზე ეცემდნენ თავზე. აქედან მის სახლამდის არ იყო დიდი მანძილი, მაგრამ მაინც არ წავიდოდა, თუნდაც ეთვეათ, რომ შინ პაპის ელი გვლისო — სად წახვალ ასეთ პაპანაქება სიცხეში!.. თვით შურის ძიება რომ ვლიდეს ამ გზით, მაშინაც დათქმულებოდა ამ სიცხეში გაყოლოს.

— აბა! რა ღროს ეგეებია, ღრომა მუშაობას შეუდგე!

ეტლ ქვეშ ჩამოკიდებულ ყუთის თავი ასწია თოკების ამოსალებად. ხელს რბილი აბრეშუმის მსგავსი რაღაც მოჰკიდა რაღაც ფართხალობდა. ჯოჯოხეთის მაშალამ იგრძნო, რომ რაღაც დაიჭყვავლა.

წავლონ ხელი და ამოათრია პატარა კატის კნუტი; საბრალოს გაეშალა თათები, ამოექუებინა პატარა კუდი, კანკალებდა შეშისაგან და ძლივ გასავინად წრიპინებდა საცოდავად „მიაუ, მიაუს“, თითქო დასცინოდნენ.

მაშ ლოკამ არ იქმარა მისი ეზო, ეტლსაც დაეპატრინა და თავისი შთამომავლობა ამ ყუთში დაბინავა, აქ მოუნახა გრილი ადგილი! ეს ადამიანის საზღვარს გადადის... დაატანა ხელი ხუთსავე კნუტს და ყველა ერთად მიწაზე დაჰყარა ის ეხლავე გასკულების ყველას ფეხით. აკი დაიფიცა და კიდეცა ასრულებს; რა უშლის, რა? აი, ეხლავე გასსერს ამ წყეულ კნუტებს.

და წყევლა-კრულვით, ამოილო ხელსახლცი, გაშალა, ჩაღ შიგ მატყლის მსგავსი ჩხავანა არსებანი, გასკვნა ირიბად ხელსახლცი, დაატანა ხელი და სირბილით გაუდგადა გზას; ეტლი კი დასტროვა.

მირბოდა, რაც შეეძლო, ამ გახურებულ გზაზე თავჩალუნი, რომ როგორმე მორიდებოდა მზეს, ქშენით მირბოდა სწორედ იმ გზით, რომლითაც ამ რამდენისამე წუთის წინად არ წავიდოდა, თვით პაპის შიკრისაც რომ დაებარებინა.

რაღაც საშინელ რასმე აპირებდა. სიბოროტე უორკეცებდა ძალას, იქნება იმისვის უნდოდა უფრო მაღლა, რომ იქიდან გაღმიერებოდონ საცოდავი კნუტები.

სახლისაკენ გაეშურა. კარებში დაუხვდა ლოკა, რომელიც სიხურულისაგან ხტოდა და სუნავდა გაბუშტულ ხელსახლცი, რომელშიც ფართხალობდნენ ცოცხალი პატარა კნუტები.

— აპა, მოგიყვანე, შე საძაგლო! — ძლივს მოითქვა სული სიცხითა და სირბილილით მოქანულმა, — აპა შენი კნუტები. ეხლა, ჯანი გაგვარდნია, მიატიებია, რაღაც პირუტყვა ხარ და არ იცი, ვინ არის პეპე — მეურმე. მეორეჯელ კი... აი იმ კედელს მივანარცებ.

ჯოჯოხეთის მაშალა, რომელიც ორ სიტყვას ვერ იტყოდა შეუგინებლად, მიბრუნდა და დაუშვა ქვეით, ეტლისაკენ; გზა-და-გზა სწყევლიდა მზეს, ამ მტერს საწყალი ხალხისა თუმცა სიცხეს უფრო და უფრო უმატებდა, მაგრამ საწყალ ჯოჯოხეთის მაშალას რაღაც უამებდა გულს.

იგ. ზურაბიშვილი.

პირველ სათათბიროს ნადეპუტატური სადილო.



პირველ სათათბიროს ნადეპუტატური ყოველ-წლივ 27 აპრილს პატარავენ ხოლმე სადილს. პროფ. აქ გრედესკული მისალოც დეპუტებსა ჭითხულობის.

1. ი. ვ. ქილიშვილი;
2. მ. ი. ლიტვინოვი;
3. ვ. კ. ფ. ფედოროვისკი;
4. მ. დ. კურამანივი;
5. ვ. დ. კურამან-კარავავი;
6. ვ. რ. ნ. ი. კარევი;
7. ნ. ა. ბრაზევი;
8. ფ. დ. კრისტიანი;
9. ვ. ა. ხარამიავი;
10. ვ. ტ. სტროგანოვი;
11. პ. დ. შევიძენი;
12. ქ. ლ. ბარდივი;
13. ვ. დ. შეიძინი;
14. ა. ა. საველევი;
15. ფ. ი. ვანიცევი;
16. ლ. მ. ბრამსონი;
17. ვ. როსთ. გრედესკული;
18. ექ. ნ. ა. კოლაპაკოვი;
19. მ. ი. ასტროგორსკი;
20. გ. ვ. გურიონი;
21. ქ. დ. გელლატი;
22. ნ. ი. კაცენიშვილი;
23. ა. ი. პარჩევსკი;
24. პროფ. ლ. ი. გრერავენისკი;
25. ვ. რ. დ. გარებულისკი;
26. ვ. ა. ბასტროვივი;
27. მ. ი. შევერევი;
28. ა. ა. სვერინი;
29. ვ. დ. ნაბაკოვი;
30. მ. ა. სტრანგიონი;
31. ვ. ი. კედრინი;
32. დ. დ. პროტოპოლოვი;
33. ს. მ. ბარატავევი;
34. თ-დი ი. ს. გარუსევიჩი;
35. ზ. გ. ფრენკელი.